სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N03-16/14

დაბა შუახევი. **8 აპრილი 2016 წელი**

ერთის მხრივ შუახევის რესურსცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის **ედუარდ გოგრაჭაძის** სახით და **მეორეს მხრივ, შპს „კორვეტი“** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი **დირექტორის ბადრი აბულაძის სახით,** ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა და საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება** (შემდგომში – საქონელი) (CPV კოდი: 30100000, 50310000)

ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **140 (ოთხასორმოცი)** ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშ-ფაქტურისა გაფორმებიდან **15 კალენდარული დღის განმავლობაში.**

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან საგადასახადო სასაქონლო ზედნადებს/ანგარიშ-ფაქტურას ხელს აწერს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული საგასასახადო სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: დაბა შუახევი, რუსთაველის ქ. #21.

5.2. საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა განხორციელდება **2016 წლის 8 აპრილიდან 30 დეკემბრის** ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, **მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის **2016 წლის 8 აპრილიდან** და მოქმედებს **2017 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შუახევის რესურსცენტრი	**შ.პ.ს. კორვეტი**
მის: დაბა შუახევი, რუსთაველის ქ. #21	**მის:** ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. 63
საიდენტიფიკაციო კოდი: 247865029	**საიდენტიფიკაციო კოდი :** 445454749
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“	**ბანკი :** ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22	**ბანკის კოდი :** BAGAGE22
ა/ა: GE78BG0000000886744500	**ა/ა :**GE41BG0000000700449100
ტელ: (+0424) 26 01 47	
უფროსი: ედუარდ გოგრაჭაძე	**დირექტორი:** ბადრი აბულაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დაბა შუახევი. **8 აპრილი 2016 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – შუახევის რესურსცენტრსა და შპს „კორვეტი“-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №03-16/14 (08.04.2016 წლი) ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროს

ტერიტორიული ორგანოს შუახევის

რესურსცენტრის უფროსი: /ედუარდ გოგრაჭაძე/

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,

კულტურისა და სპორტის სამინისტროს

ტერიტორიული ორგანოს შუახევის

რესურსცენტრის იურისტი: /გოჩა მიქელაძე/